

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**აკადემიური საბჭო**

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,  
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87  
ელ. ფოსტა: [info@bsu.edu.ge](mailto:info@bsu.edu.ge)

**დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა №84**

2014 წლის 25 ივნისი,  
ქ. ბათუმი

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის „თარგმანისა და ინტერდისციპლინარული კვლევების  
ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№10, 24.06.2014) ამონაწერის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტთან არსებული „თარგმანისა და ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრის“ დებულება დანართი 1-ის შესაბამისად;

2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, პროფესორი

ალიოზა ბაკურიძე

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
თარგმანისა და ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრის

დებულება

**მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო**

ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრის (შემდგომში „ცენტრის“) სტრუქტურას, მიზნებსა და ამოცანებს. აწესრიგებს ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ასევე ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

**მუხლი 2. ცენტრის უფლებამოსილება**

ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების, წინამდებარე დებულებისა და სხვა საკანონმდებლო, კანონქვემდებარე და საუნივერსიტეტო აქტების საფუძველზე.

**მუხლი 3. ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები**

3.1. ცენტრის ძირითადი მიზნებია:

- ა) მულტილინგვური კორპუსის განვითარება - თანამედროვე სასწავლო და გამოყენებითი კვლევების მხარდაჭერის მიზნით.
- ბ) პროექტის: „თარგმნილი პოლიტიკური კორპუსის განვითარება“ (გრანტი № 690 11210 3016 20, G-PAC და ბსუ-ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე) ფარგლებში შექმნილი კორპუსის პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზების შევსება თარგმნილი სამეცნიერო ლიტერატურით;
- გ) ამავე კორპუსის ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზების შექმნა-ლოკალიზაცია (ადაპტაცია);

**3.2. ცენტრის ამოცანა:**

- ა) საუნივერსიტეტო სასწავლო, აკადემიური/სამეცნიერო რესურსების განვითარება;
- ბ) ბსუ-ს სტუდენტების თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურით უზრუნველყოფა (ელექტრონული);
- გ) ხელი შეუწყოს დარგობრივი ლექსიკონების განვითარებას, სტუდენტებისა და პროფესორების მხრივ მათი ინტენსიური გამოყენებისა და მონაცემთა შევსების მიზნით;

**3.3. ცენტრის ფუნქციებია:**

ა) მულტილინგვური კორპუსის სასწავლო რესურსად გამოყენებისათვის საჭირო მონაცემთა ბაზებისა და კომპიუტერული პროგრამების შემდგომი დამუშავების ორგანიზება (ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით) და კვლევების ნახევრად-ავტომატურ რეჟიმში შესრულების უზრუნველყოფა;

ბ) თარგმანმცოდნეობის მიმართულების სასწავლო კურსების სრულყოფა და განვითარება, ახალი სასწავლო კურსების შექმნა;

გ) ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ფორუმებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა (ეროვნული და მულტილინგვური აკადემიური/სამეცნიერო კორპუსის მიმართულებებით);

დ) ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ლინგვისტიკის ინსტიტუტის პროფესორებთან თანამშრომლობა 1. ქართული ენის „ეროვნული კორპუსის“ განვითარებისთვის; თარგმანმცოდნეობის მიმართულების სასწავლო კურსების სრულყოფა და განვითარება, ახალი სასწავლო კურსების შექმნა;

ე) დარგობრივი უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა, კორპუსის ბაზების კატეგორიების თარგმანებითა და სამომხმარებლო სერვისებით უზრუნველყოფა ;

ვ) დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების დამუშავება (თარგმნის პროცესში დარგის სპეციალისტების თანამონაწილეობა შესაძლო არა-სააუდიტორიო დატვირთვის ფარგლებში; დატვირთვის ტიპი: კონსულტაცია დარგობრივ ტერმინოლოგიაში; ტექნიკური რედაქტირება, თანამონაწილეობა სალექსიკონო დეფინიციების დამუშავებაში);

ზ) თარგმნის პროცესში სტუდენტების (ბაკალავრიატის დამამთავრებელი სასწავლო წლის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების) ჩართულობის უზრუნველყოფა პროფესორის ხელმძღვანელობით (საშუალება ექნებათ პრაქტიკის სახით სტაჟირება გაიარონ ცენტრში და დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის დადგენილი რაოდენობის შესრულების შემდეგ გაიცეს შესაბამისი სერტიფიკატები);

თ) თანამშრომლობის დამყარება საერთაშორისო უსდ-ებთან ცენტრის მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად.

#### **მუხლი 4. ცენტრის ძირითადი მიმართულებები**

ცენტრის ძირითადი მიმართულებებია:

ა) თარგმანმცოდნეობის მიმართულების სასწავლო კურსების სრულყოფა და განვითარება, ახალი სასწავლო კურსების შექმნა;

ბ) კორპუსული აკადემიური /სამეცნიერო მონაცემთა ბაზების პროგრამული უზრუნველყოფისა და კვლევის;

გ) ციფრული (დიגיტალური) ჰუმანიტარიის;

#### **მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა და მართვა**

5.1. ცენტრის მმართველი ორგანოა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია რექტორის, აკადემიური საბჭოსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე;

5.2. საბჭოს შემადგენლობა (თავმჯდომარე და წევრები) მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

5.3. საბჭოს სხდომა მოიწვევა არანაკლებ 3 თვეში ერთხელ;

5.4. ცენტრის ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ცენტრის კოორდინატორი, რომელიც იმავდროულად არის საბჭოს თავმჯდომარე;

5.5. ცენტრის მიმართულების ხელმძღვანელები ამავედროულად არიან საკოორდინაციო საბჭოს წევრები.

5.6. ცენტრის მუშაობის ანგარიშს 6 თვეში ერთხელ ისმენს ფაკულტეტის საბჭო, ხოლო წელიწადში ერთხელ აკადემიური საბჭო.

#### **მუხლი 6. ცენტრის დაფინანსება და ბიუჯეტი**

6.1. ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი თანხა;

ბ) სახელმწიფო ან კერძო გრანტის ან შემოწირულობის სახით მიღებული შემოსავლები;

გ) კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

6.2. ცენტრის ხარჯთაღრიცხვას უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმებით ადგენს ცენტრის კოორდინატორი და წარუდგენს დასამტკიცებლად ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.